საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის

ბრძანება №2-742

2018 წლის 6 სექტემბერი

ქ. თბილისი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ

„გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლისა და „საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 6 მარტის №112 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

1. დამტკიცდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის თანდართული დებულება.
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2015 წლის 5 თებერვლის №175 ბრძანება.
3. ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი — **ლევან დავითაშვილი**

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირი – გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი (შემდგომში – ცენტრი) არის საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს (შემდგომში – სამინისტრო) სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც სამინისტროს კონტროლით დამოუკიდებლად ახორციელებს თავის საქმიანობას.
2. დასახული მიზნებისა და დაკისრებული ფუნქციების განსახორციელებლად ცენტრს აქვს სპეციალური უფლებაუნარიანობა. იგი საკუთარი სახელით იძენს უფლებებსა და მოვალეობებს, დებს გარიგებებს და შეუძლია სასამართლოში გამოვიდეს მოსარჩელედ და მოპასუხედ.
3. ცენტრი საქმიანობას წარმართავს საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე.
4. ცენტრს აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, საბანკო ანგარიში, ემბლემა, რომელსაც ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული აქტით ამტკიცებს ცენტრის დირექტორი, ბეჭედი სახელმწიფო გერბის გამოსახულებით, ასევე სხვადასხვა სახის ბეჭდები (მათ შორის, ემბლემის გამოსახულებით), შტამპები და იურიდიული პირის სხვა რეკვიზიტები.
5. ცენტრის ბეჭდების და შტამპების აღწერილობას, ნიმუშებსა და გამოყენების წესს ამტკიცებს ცენტრის დირექტორი. ცენტრის ემბლემა გამოიყენება ცენტრის ბლანკებსა და ცენტრის შესასვლელის აბრაზე, ასევე თანამშრომელთა სავიზიტო ბარათებზე, ბეჭდვით გამოცემებსა და სუვენირებზე.
6. ცენტრის იურიდიული მისამართია: ქ, თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი №32გ, 0159.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2025 წლის 24 სექტემბრის ბრძანება №2-581 - ვებგვერდი, 24.09.2025წ.

მუხლი 2. ცენტრის საქმიანობის სფერო და ამოცანები

ცენტრის საქმიანობის სფეროა, ხელი შეუწყოს ინკლუზიური და თანაბარი გარემოსდაცვითი და აგრარული განათლების განვითარებას, მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევას, საზოგადოების

ცნობიერების ამაღლებასა და ინფორმაციაზე წვდომის უზრუნველყოფას საერთაშორისო სტანდარტებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების შესაბამისად.
2. თავის საქმიანობაში ცენტრი ეყრდნობა „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ევროპის ეკონომიკური კომისიის კონვენციის პრინციპებს.

3. ცენტრის ფუნქციები და ამოცანებია:

ა) გარემოსდაცვითი ინფორმაციის ერთიანი ბაზის შექმნა და ადმინისტრირება შესაბამის საჯარო დაწესებულებებთან, აკადემიურ, საგანმანათლებლო, არასამთავრობო, კერძო სექტორსა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გზით;

ბ) გარემოსდაცვით ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ვებგვერდისა და სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებების (ელექტრონული, ბეჭდური, სატელევიზიო, სოციალური მედიისა და სხვა) გზით;

გ) სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში პრინციპის „გარემოსდაცვითი განათლება მდგრადი განვითარებისათვის“ ხელშეწყობა, სამინისტროს და მის სისტემაში შემავალი დაწესებულებების თანამშრომელთა ტრენინგების, კვალიფიკაციის ამაღლების კურსების, სემინარების ორგანიზება, უწყვეტი პროფესიული განვითარების, მათ შორის, საზღვარგარეთ სწავლების და კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებში მონაწილეობის ხელშეწყობა ან/და განხორციელება;

დ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამ(ებ)ის შემუშავება, განხორციელება და შესაბამისი პროცესის მართვა;

ე) გარემოსდაცვით სფეროსთან დაკავშირებული საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სერტიფიცირების უზრუნველყოფა;

ვ) საზოგადოების გარემოსდაცვითი და აგრარული მიმართულებით ცნობიერების ამაღლება, შესაბამისი სპეციალისტების მომზადების, გადამზადების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და საგანმანათლებლო ტრენინგების განხორციელების გზით. სწავლების განხორციელება ან/და ხელშეწყობა;

ზ) სამინისტროს და მის სისტემაში შემავალი დაწესებულებების კომპეტენციებიდან გამომდინარე, სოფლის მეურნეობის დარგებსა და სფეროებში საინფორმაციო კამპანიების, ცნობიერების ამაღლებისა და პოპულარიზაციის ღონისძიებების, ინფორმაციის გავრცელების, კვლევითი საქმიანობების, ინოვაციური/ახალი ტექნოლოგიების წესების გავრცელების ხელშეწყობა;

თ) დროული და მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღების მიზნით სამინისტროსა და მის სისტემაში შემავალი უწყებების საჭიროებების შესაბამისი კვლევის შედეგებით უზრუნველყოფა;

ი) გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სფეროსთან დაკავშირებული უწყებებისა და დაწესებულებების, საქართველოში აკრედიტებული საერთაშორისო ორგანიზაციების, სამეცნიერო და არასამთავრობო სექტორის და ექსპერტთა შესახებ მონაცემთა ბაზების შექმნა და ადმინისტრირება;

კ) კომპეტენციის ფარგლებში გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სფეროში არსებული აქტუალური ლიტერატურის ელექტრონული ბიბლიოთეკის შექმნის ხელშეწყობა;

ლ) სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში, გარემოსდაცვითი და აგრარული პროექტების შესახებ ინფორმაციის საჯაროობის უზრუნველყოფა;

მ) კომპეტენციის ფარგლებში „მწვანე ეკონომიკისა“ და „მწვანე ბიზნესის“ პრინციპების დანერგვის ხელშეწყობა;

ნ) ეკომარკირების სისტემებისა და ეკოსტანდარტების დანერგვის ხელშეწყობა;

ო) გარემოს დაცვის სფეროში გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების ჩართულობისა და ინფორმირებულობის ხელშეწყობა;

პ) საერთაშორისო თანამშრომლობის განმტკიცებისა და საგრანტო რესურსების ოპტიმალური ათვისების მიზნით, ცენტრი თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს მიზნობრივი საერთაშორისო პროექტებისა და საგრანტო შესაძლებლობების იდენტიფიცირებას, მოძიებას, დაგეგმვას და საპროექტო წინადადების მომზადებას. უზრუნველყოფს მიმდინარე და დაგეგმილი პროექტების შესრულების პროცესის კოორდინაციას, მონიტორინგს, შეფასებასა და საბოლოო ანგარიშის მომზადებას;

ჟ) კომპეტენციის ფარგლებში საგრანტო პროგრამების განხორციელება;

რ) დეფიციტური გარემოსდაცვითი და აგრარული პროფესიების პოპულარიზაციის ხელშეწყობა და ამ მიზნით წამახალისებელი ღონისძიებების განხორციელება;

ს) კომპეტენციის ფარგლებში შესაბამისი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების პროექტების შემუშავება ან/და შემუშავებაში მონაწილეობის მიღება;

ტ) ცენტრში არსებული სერვისების ხარისხის გაუმჯობესება მათი დიგიტალიზაციის გზით;

უ) საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან თანამშრომლობით გარემოსდაცვითი და აგრარული წიგნიერებისთვის ეროვნული სტანდარტების შემუშავების და დაწესების ხელშეწყობა;

ფ) გარემოსდაცვითი და აგრარული მიმართულებით მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის შესაძლებლობების ხელშეწყობა, ელექტრონული სასწავლო პორტალის შექმნა, ადმინისტრირება და პოპულარიზაცია;

ქ) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა ფუნქციების განხორციელება.
საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 31 დეკემბრის ბრძანება №2-1078 - ვებგვერდი, 03.01.2019წ.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 7 ივნისის ბრძანება №2-825 - ვებგვერდი, 08.06.2021წ.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2023 წლის 16 მაისის ბრძანება №2-283 - ვებგვერდი, 16.05.2023წ.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2025 წლის 24 სექტემბრის ბრძანება №2-581 - ვებგვერდი, 24.09.2025წ.

მუხლი 3. ცენტრის ქონება და საქმიანობა, რომელიც საჭიროებს თანხმობას

1. კანონმდებლობით და ამ დებულებით ცენტრისათვის განსაზღვრული მიზნების განსახორციელებლად, ცენტრს გადაეცემა შესაბამისი ქონება, კანონმდებლობით დადგენილი წესით.
2. ცენტრი, სამინისტროს თანხმობით, უფლებამოსილია განახორციელოს:
ა) უძრავი ქონების შეძენა, გასხვისება და დატვირთვა;
ბ) სესხის აღება;
გ) თავდებობა;
დ) ბიუჯეტის, საშტატო ნუსხისა და სახელფასო ფონდის განსაზღვრა;
ე) თანამშრომელთა მატერიალური წახალისებისათვის გამოსაყოფი სახსრების, აგრეთვე შესაძენი საწვავისა და გასაწევი საკომუნიკაციო ხარჯების ლიმიტების განსაზღვრა;
ვ) სხვა გადაწყვეტილებები საჯარო სამართლის იურიდიული პირის ქონებასთან დაკავშირებით, თუ ისინი სცილდება ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებს.
3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ქმედებათა განსახორციელებლად აუცილებელია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს თანხმობა.

მუხლი 4. ცენტრის დაფინანსება

ცენტრის დაფინანსების წყაროები შეიძლება იყოს:
ა) შესაბამისი წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი სახსრები;

ბ) სახელმწიფო შეკვეთის შესრულებიდან მიღებული შემოსავალი;
გ) ხელშეკრულების საფუძველზე შესრულებული სამუშაოდან მიღებული შემოსავალი;
დ) გრანტები;
ე) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები.

მუხლი 5. საბუღალტრო ანგარიშგება

1. ცენტრი ვალდებულია, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აწარმოოს საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის აღრიცხვა-ანგარიშგება, შეადგინოს ბალანსი და დასამტკიცებლად წარუდგინოს სამინისტროს.
2. ცენტრის წლიურ ბალანსს ამოწმებს სამინისტროს მიერ დანიშნული დამოუკიდებელი აუდიტორი.

მუხლი 6. სახელმწიფო კონტროლი

1. ცენტრის სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს სამინისტრო, რაც გულისხმობს ცენტრის მიერ განხორციელებული საქმიანობის კანონიერების, მიზანშეწონილობის, ეფექტიანობის და საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის ზედამხედველობას.
2. სამინისტრო უფლებამოსილია შეაჩეროს ან გააუქმოს ცენტრის არამართლზომიერი გადაწყვეტილება.
3. ცენტრი ვალდებულია, შესაბამისი მოთხოვნის საფუძველზე, სამინისტროს მიაწოდოს სათანადო ინფორმაცია.

მუხლი 7. ცენტრის მართვა და წარმომადგენლობა

1. ცენტრს ხელმძღვანელობს დირექტორი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი (შემდგომში – მინისტრი).
2. ცენტრის დირექტორი:
ა) წარმოადგენს ცენტრს სხვა სახელმწიფო ორგანოებთან, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან ურთიერთობისას;
ბ) იყენებს ბიუჯეტის სახსრებს და კანონმდებლობით დადგენილი წესით ანგარიშვალდებულია მინისტრის წინაშე მათი მიზნობრივი გამოყენებისათვის;
გ) პასუხისმგებელია ცენტრის საქმიანობის მომწესრიგებელი სამართლებრივი აქტების ზუსტ შესრულებაზე და ანგარიშვალდებულია მინისტრის წინაშე;
დ) მინისტრს წარუდგენს და უთანხმებს წინადადებებს ცენტრის საქმიანობის სფეროს რეგულირების შესახებ;
ე) თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ცენტრის თანამშრომლებს;
ვ) სამინისტროსთან შეთანხმებით განსაზღვრავს ცენტრის საშტატო განრიგს და სახელფასო ფონდს;
ზ) ცენტრის თანამშრომლების მიმართ იყენებს დისციპლინური პასუხისმგებლობისა და წახალისების ზომებს, განსაზღვრავს დანამატის ოდენობას;
თ) კომპეტენციის ფარგლებში, გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს;
ი) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე გასცემს ამ დებულების მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ სერტიფიკატებს;
ი[1]) ცენტრის კომპეტენციიდან გამომდინარე, გამოსცემს პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამ(ებ)ის მართვისა და განხორციელების უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საორგანიზაციო ხასიათის სამართლებრივ აქტებს;
კ) კომპეტენციის ფარგლებში ამყარებს კონტაქტებს და დებს ხელშეკრულებებს ცენტრის საქმიანობის სფეროში შემავალ საკითხებზე;
ლ) შეიმუშავებს ცენტრის სამოქმედო გეგმასა და პრიორიტეტებს;
მ) კონტროლს უწევს ცენტრის სტრუქტურული ქვედანაყოფების საქმიანობას, ორგანიზებას უწევს მათ მჭიდრო თანამშრომლობას და შეთანხმებულ ქმედებას;
ნ) წელიწადში ერთხელ წარუდგენს მინისტრს ფინანსურ ანგარიშს;
ო) ამტკიცებს ცენტრის შინაგანაწესს;
პ) ამტკიცებს ცენტრში სტაჟირების გავლის წესს;
ჟ) განკარგავს ცენტრის შემოსავლებს;
რ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით და ამ დებულებით განსაზღვრულ სხვა ფუნქციებს.
3. ცენტრის დირექტორს ჰყავს ერთი მოადგილე, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ცენტრის დირექტორი. დირექტორის არყოფნის ან მის მიერ

სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს დირექტორის მოადგილე.
4. ცენტრის დირექტორს შეუძლია ერთი ან რამდენიმე უფლების დელეგირება ცენტრის სხვა თანამშრომელზე.
საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 31 დეკემბრის ბრძანება №2-1078 - ვებგვერდი, 03.01.2019წ.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 27 დეკემბრის ბრძანება №2-1281 - ვებგვერდი, 27.12.2019წ.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 7 ივნისის ბრძანება №2-825 - ვებგვერდი, 08.06.2021წ.

მუხლი 8. ცენტრის სტუქტურა
ა) განათლების სამსახური;
ბ) საინფორმაციო და კომუნიკაციების სამსახური;

გ) პროექტების მართვისა და კვლევის სამსახური;

დ) ადმინისტრაციული სამსახური.
საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 31 დეკემბრის ბრძანება №2-1078 - ვებგვერდი, 03.01.2019წ.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 7 ივნისის ბრძანება №2-825 - ვებგვერდი, 08.06.2021წ.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2023 წლის 16 მაისის ბრძანება №2-283 - ვებგვერდი, 16.05.2023წ.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2025 წლის 24 სექტემბრის ბრძანება №2-581 - ვებგვერდი, 24.09.2025წ.

მუხლი 9. ცენტრის სტრუქტურული ქვედანაყოფების კომპეტენცია და ხელმძღვანელობა
განათლების სამსახური:
ა) კომპეტენციის ფარგლებში ხელს უწყობს გარემოსდაცვითი და აგრარული წიგნიერებისთვის ეროვნული სტანდარტების შემუშავებასა და დაწესებას, მათ შორის, განსაზღვრავს სწავლების მიმართულებებს, ამზადებს სასწავლო გეგმებს, თემატიკასა და პროგრამებს;

ბ) კომპეტენციის ფარგლებში შეიმუშავებს მეთოდურ მითითებებსა და სასწავლო ლიტერატურას/სახელმძღვანელოებს;

გ) ორგანიზებას უწევს გარემოსდაცვითი და აგრარული სფეროების სემინარების, ტრენინგებისა და კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების მომზადებასა და ჩატარებას;

დ) ხელს უწყობს ამ დებულების მე-2 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული სემინარების, ტრენინგებისა და კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების, შესაბამისი სპეციალისტების მომზადებას, უზრუნველყოფს პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამ(ებ)ის შემუშავებას, მართვასა და განხორციელებას, ხელს უწყობს საკონსულტაციო-კვლევითი მომსახურებების განხორციელებასა და ცენტრის სახელით მონაწილეობს ამ ღონისძიებებში/საქმიანობებში;

ე) ხელს უწყობს სხვადასხვა საგანმანათლებლო და სასერტიფიკატო პროგრამებში გარემოსდაცვითი და აგრარული კომპონენტების ჩართვას;

ვ) ხელს უწყობს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სფეროში ახალი პროფესიული კურსების დანერგვას;

ზ) თანამშრომლობს ადგილობრივ და საერთაშორისო საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან;

თ) კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობს საერთაშორისო ურთიერთობებში;

ი) კომპეტენციის ფარგლებში კოორდინაციას უწევს „მწვანე ეკონომიკისა“ და „მწვანე ბიზნესის“

ხელშემწყობ პროექტებს;

კ) კოორდინაციას უწევს მდგრადი განვითარების გარემოსდაცვითი და აგრარული კომპონენტების შესახებ ცნობიერების ამაღლებას;

ლ) უზრუნველყოფს გარემოსდაცვით სფეროსთან დაკავშირებულ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სერტიფიცირებას;

მ) უზრუნველყოფს საზოგადოების აგრარული და გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლებას, შესაბამისი სპეციალისტების მომზადებას, გადამზადებას, კვალიფიკაციის ამაღლებასა და სწავლების ხელშეწყობას;

ნ) დეფიციტური გარემოსდაცვითი და აგრარული პროფესიების პოპულარიზაციის მიზნით, ახორციელებს შესაბამისი წამახალისებელი ღონისძიებების დაგეგმვასა და მასთან დაკავშირებული პროცედურების ორგანიზებას;

ო) სასოფლო-სამეურნეო ცოდნისა და ინოვაციების სისტემის ფუნქციონირებისა და განვითარების ხელშეწყობა;

პ) გარემოსდაცვითი და აგრარული განათლების ხელშეწყობის მიზნით ელექტრონული სასწავლო რესურსების შექმნა და ადმინისტრირება.

2. საინფორმაციო და კომუნიკაციების სამსახური:

ა) შესაბამის სახელმწიფო სტრუქტურებთან თანამშრომლობით ქმნის და ადმინისტრირებას უწევს გარემოსდაცვითი ინფორმაციის მონაცემთა ერთიან ბაზას;

ბ) უზრუნველყოფს სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში გარემოსდაცვითი და აგრარული პროექტების შესახებ ინფორმაციის საჯაროობას;

გ) ხელს უწყობს საჯარო ინფორმაციის გავრცელებას, ხელმისაწვდომობას, ცნობიერების ასამაღლებელი ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებას სხვადასხვა საშუალებით;

დ) ქმნის გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სფეროებთან დაკავშირებული უწყებების, საქართველოში აკრედიტებული საერთაშორისო ორგანიზაციების, სამეცნიერო და არასამთავრობო სექტორის და ექსპერტთა შესახებ მონაცემთა ბაზებს;

ე) ამზადებს და ადმინისტრირებას უწევს ინფორმაციას იმ საჯარო დაწესებულებების შესახებ, რომლებიც ქმნიან და ფლობენ სოფლის მეურნეობასთან და გარემოს დაცვასთან დაკავშირებულ ინფორმაციას თემატური კატეგორიების მიხედვით;

ვ) კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობს შესაბამის საერთაშორისო პროგრამებში;

ზ) უზრუნველყოფს გარემოსდაცვითი და აგრარული ლიტერატურის შეგროვებას, ბიბლიოთეკის, ფოტო/ვიდეო/აუდიოფონდის შექმნასა და ციფრული სწავლების პლატფორმის პოპულარიზაციას;

თ) ხელს უწყობს ამ დებულების მე-2 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული საზოგადოების ცნობიერების ამაღლებასა და ინფორმაციის გავრცელებასთან დაკავშირებული ღონისძიებების მომზადებას, ინფორმაციის გავრცელებას და მონაწილეობს მათ განხორციელებაში;

ი) კოორდინაციას უწევს ეკომარკირების სისტემებისა და ეკოსტანდარტების დანერგვასთან დაკავშირებული პროექტების განხორციელებას ცნობიერების ამაღლების მიზნით;

კ) უზრუნველყოფს საინფორმაციო სისტემის განვითარებას და კონკრეტული კომპონენტების განხორციელების ხელშეწყობას;

ლ) კოორდინაციას უწევს ანალიტიკური პროდუქტების მომზადებას;

მ) უზრუნველყოფს ცენტრის საზოგადოებრივ იმიჯზე ზრუნვას, საზოგადოებასთან საკომუნიკაციო გეგმის შემუშავებასა და განხორციელებას, რაც მოიცავს მედიაურთიერთობების მართვას, პრესკონფერენციების, ბრიფინგებისა და პრეზენტაციების ორგანიზებას, სოციალური მედიისა და ციფრული კომუნიკაციის მართვას, პარტნიორ ორგანიზაციებთან და დაინტერესებულ მხარეებთან კავშირების განვითარებას, საზოგადოებისთვის ზუსტი და დროული ინფორმაციის მიწოდებას ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ.

3. პროექტების მართვისა და კვლევის სამსახური:

ა) აწარმოებს ცენტრის მიერ განხორციელებული საერთაშორისო პროექტების მონაცემთა ბაზას, უზრუნველყოფს საერთაშორისო დონორებისა და პარტნიორი ორგანიზაციების მიერ მხარდაჭერილი პროექტების იდენტიფიცირებას და სისტემატიზაციას ცენტრის საქმიანობის მიზნებისა და სტრატეგიული პრიორიტეტების გათვალისწინებით;

ბ) ახორციელებს ხელმისაწვდომ საგრანტო პროგრამებზე ინფორმაციის რეგულარულ შეგროვებას, ანალიზს და მათი გამოყენებადობის შეფასებას;

გ) ახორციელებს საერთაშორისო პროექტებისა და საგრანტო დაფინანსების მოსაპოვებლად აუცილებელი დოკუმენტაციის – მათ შორის, კონცეფციის, საპროექტო წინადადების, სამოქმედო გეგმის, ხარჯთაღრიცხვის, საპროექტო განაცხადის – მომზადებას და შეთანხმებას ცენტრისა და სამინისტროს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულთან;

დ) ახორციელებს ცენტრში მიმდინარე და ახალი საერთაშორისო პროექტებისა და გრანტების ადმინისტრირებას, რომელიც მოიცავს მათი დაგეგმვის, შესრულების, მონიტორინგისა და შეფასების პროცესებს საგრანტო ხელშეკრულებებით დადგენილი პირობების დაცვით;

ე) ახორციელებს პროექტების მიმდინარეობის მონიტორინგსა და შეფასებას, ამზადებს შუალედურ და საბოლოო ანგარიშებს და უზრუნველყოფს მათ დროულად წარდგენას დონორებისთვის, ცენტრის ხელმძღვანელობისა და სამინისტროს შესაბამისი სტრუქტურებისათვის, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და დოკუმენტაციის წარმოების დადგენილი წესების შესაბამისად;

ვ) უზრუნველყოფს საერთაშორისო პროექტების ფარგლებში დაგეგმილ კოორდინირებულ და შედეგზე ორიენტირებულ აქტივობების განხორციელებას, მათ შორის ბენეფიციარებთან, კონტრაქტორებთან, სახელმწიფო სტრუქტურებთან და დონორებთან ეფექტური კომუნიკაციის გზით;

ზ) უზრუნველყოფს კოორდინაციასა და კომუნიკაციას დონორებთან, პარტნიორ ორგანიზაციებთან, ბენეფიციარებთან, კონსულტანტებთან და სამინისტროს შესაბამის სტრუქტურებთან, საერთაშორისო პროექტების ეფექტიანად განხორციელების, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფის მიზნით;

თ) უზრუნველყოფს ცენტრის სხვა სტრუქტურულ ქვედანაყოფებთან თანამშრომლობის კოორდინაციას პროექტების მიზნობრივი, ეფექტური და თანმიმდევრული განხორციელების მიზნით;

ი) უზრუნველყოფს განხორციელებული საერთაშორისო პროექტების მონაცემთა ელექტრონულ რესურსებზე ასახვასა და მუდმივ განახლებას, მათ შინაარსობრივ ანალიზს და დაგროვებული გამოცდილების გაზიარებას ცენტრის სტრატეგიული დაგეგმვისა და საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით;

კ) ამზადებს ანგარიშებს, რეკომენდაციებს და წინადადებებს საერთაშორისო პროექტების სისტემური მართვის, საგრანტო პროცესების გამჭირვალობისა და ცენტრის საქმიანობის ეფექტიანობის გაუმჯობესების მიზნით;

ლ) ხელს უწყობს გარემოსდაცვითი და აგრარული პოლიტიკის ანალიზს, არსებული ტენდენციების შესწავლასა და განვითარების პროგნოზირებას;

მ) ხელს უწყობს სცენარებზე დაფუძნებულ დაგეგმვასა და გრძელვადიანი სტრატეგიული ანალიზის

მომზადებას;

ნ) მხარს უჭერს მტკიცებულებაზე დაფუძნებული პოლიტიკის მომზადებას, კვლევების დაგეგმვასა და შედეგების ინტეგრირებას საჯარო პოლიტიკაში;

ო) ჩართულია სექტორული რეფორმების და პოლიტიკის ცვლილებების ზეგავლენის შეფასებაში;

პ) მონაწილეობას იღებს პოლიტიკის რეზიუმეების, პოზიციის დოკუმენტებისა და რეკომენდაციების მომზადებაში სამინისტროს შესაბამისი დეპარტამენტებთან ერთად;

ჟ) მხარს უჭერს სასოფლო-სამეურნეო ცოდნისა და ინოვაციების სისტემის სტრუქტურულ განვითარებას და ინტეგრაციას კვლევით, საგანმანათლებლო და პრაქტიკულ ინსტიტუციებს შორის;

რ) ხელს უწყობს ეროვნული და საერთაშორისო კვლევითი ინსტიტუტების, უნივერსიტეტებისა და ექსტენციის ცენტრების პარტნიორობას;

ს) ახორციელებს ფერმერებისა და აგრობიზნესის ინფორმირებას თანამედროვე კვლევებით და ინოვაციური მეთოდებით;

ტ) ხელს უწყობს გამოყენებითი კვლევების ინტეგრირებას სოფლის მეურნეობის, ბიომრავალფეროვნების, ტყის მართვისა და კლიმატის მიმართულებით;

უ) აგრარული ინოვაციების გავრცელების ხელშეწყობა ციფრული პლატფორმებისა და ცოდნის ჰაბების მეშვეობით. სასწავლო რესურსების და სერტიფიცირების პროგრამების შინაარსობრივი მხარდაჭერა კვლევით მიგნებებზე დაყრდნობით.

4. ადმინისტრაციული სამსახური:

ა) უზრუნველყოფს ცენტრის საქმისწარმოების ორგანიზებასა და კონტროლს;

ბ) ახორციელებს ცენტრის კადრების აღრიცხვას;

გ) ცენტრის უფლებამოსილების ფარგლებში ამზადებს ცენტრის თანამშრომელთა დანიშვნა-გათავისუფლების, მივლინებების, შვებულებების, დისციპლინური პასუხისმგებლობისა და წახალისებების შესახებ ბრძანებების პროექტებს;

დ) ახორციელებს ცენტრის თანამშრომელთა პირადი საქმეების შედგენას;

ე) შეიმუშავებს ცენტრის შინაგანაწესს და აკონტროლებს მის შესრულებას;

ვ) შეიმუშავებს ცენტრის ბიუჯეტს და ხარჯთაღრიცხვის პროექტებს;

ზ) მართავს ცენტრის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობას და საბუღალტრო აღრიცხვა- ანგარიშგებას;

თ) უზრუნველყოფს ცენტრისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას;

ი) უზრუნველყოფს სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებას;

კ) უზრუნველყოფს ცენტრს სამართლებრივი მომსახურებით და ახორციელებს სასამართლო ორგანოებში ცენტრის წარმომადგენლობას.

5. ცენტრის სტრუქტურულ ქვედანაყოფებს (სამსახურებს) ხელმძღვანელობს სამსახურის უფროსი.

6. სამსახურის უფროსი:

ა) ასრულებს ცენტრის დირექტორის დავალებებსა და მითითებებს;

ბ) იღებს გადაწყვეტილებებს სამსახურის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე;

გ) სამსახურის თანამშრომლებს შორის ანაწილებს ფუნქცია-მოვალეობებს;

დ) ცენტრის დირექტორს წარუდგენს ინფორმაციას სამსახურის თანამშრომელთა წახალისების ან მათ მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის გამოყენების შესახებ;

ე) შეიმუშავებს სამსახურის საქმიანობის შესახებ წინადადებებს;

ვ) სასმახურის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშს წარუდგენს ცენტრის დირექტორს.
საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 31 დეკემბრის ბრძანება №2-1078 - ვებგვერდი, 03.01.2019წ.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 7 ივნისის ბრძანება №2-825 - ვებგვერდი, 08.06.2021წ.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2023 წლის 16 მაისის ბრძანება №2-283 - ვებგვერდი, 16.05.2023წ.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2025 წლის 24 სექტემბრის ბრძანება №2-581 - ვებგვერდი, 24.09.2025წ.

მუხლი 10. ცენტრის ლიკვიდაცია
ცენტრის ლიკვიდაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.